

პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	პროგრამის კოდი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მიხედვით:	30091-01
	Business Administration (Management)	პროგრამის შიდა აღნიშვნა:	BBM

უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)	საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე:	VI
მიმართულება სპეციალობა სპეციალიზაცია	ბიზნესის ადმინისტრირება (კოდი: 02) მენეჯმენტი (კოდი: 0203) -		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში Bachelor of Business Administration in Management	კვალიფიკაციის კოდი:	0203
სწავლების ენა	ქართული		
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	240 ECTS ბტუ-ში აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს 60 ECTS კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამით გათვალისწინებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით პროგრამისთვის დადგენილი კრედიტის დაგროვების შედეგად.		
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით: პროგრამის დამტკიცება და ცვლილებები (23.08.2016, 28.12.2016); ბოლო ცვლილებები (ოქმი №21, 24.09.2018)		
გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	№ 03, 05.01.2017		
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო ენუქიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	Tel.: Email:	+995 599701080 nino.enukidze@btu.edu.ge

პროგრამაზე დაშვება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად – სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით (შემდგომში - პროგრამა) სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მოხილობით ბტუ-ს და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (სტუდენტების მიერ უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბტუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). პირი, რომელსაც პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1.2 დონის ფლობა (წარმოადგინოს ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში) ან გაიაროს შიდა გამოცდა (ტესტირება) ქართულ ენაში; სერტიფიკატის წარმოდგენისა და ტესტირებისაგან თავისუფლდება პირები, რომლებსაც საქართველოში აქვთ მიღებული სრული ზოგადი განათლება ან აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქართულენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტებისაგან, მას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურა (240 ECTS): 1) ძირითადი სპეციალობა (142 ECTS) და თავისუფალი კომპონენტი (98 ECTS) ან 2) ძირითადი სპეციალობა (142 ECTS), დამატებითი სპეციალობა (60 ECTS) და თავისუფალი კომპონენტი (38 ECTS). ორივე შემთხვევაში პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. სტუდენტს შეუძლია არჩევანის გაკეთება და ძირითადი სპეციალობის კომბინირება დამატებითი სპეციალობის პროგრამასთან და/ან მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსებთან: დამატებითი სპეციალობის პროგრამის ან/და სასწავლო კურსების არჩევით სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება – პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებისა და სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის პროგრამის და/ან სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და სხვ. საკითხები რეგულირდება ბტუ-ში მოქმედი ბაკალავრიატის დებულებით (იხ. ბტუ-ს ვებგვერდი <https://btu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi>).

პროგრამის მიზანი

- ხელი შეუწყოს ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც დაეხმარება პროგრამის კურსდამთავრებულს მონაწილეობა მიიღოს კონკურენტუნარიანი საწარმოს შექმნაში;
- მოამზადოს თანამედროვე დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქე;
- მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირებაში - მენეჯმენტში აქტუალური ცოდნის მქონე პროფესიონალი, რომელსაც:
 - აქვს გამოუმუშავებული აქტუალური დარგობრივი კომპეტენციები, რომელიც მას საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციაში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების მართვაში;
 - აქვს უახლესი ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპების შესახებ;
 - აქვს კომპეტენცია ბიზნესის ადმინისტრირების ისეთ ძირითად დარგში, როგორც არის მენეჯმენტი;
 - შეუძლია, დაეგმოს და განახორციელოს ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობა თანამედროვე ტექნოლოგიების, ფინანსური გათვლების, მარკეტინგული დაგეგმვის, ოპერაციული ინსტრუმენტების გამოყენებით.

პროგრამის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

1	კურსდამთავრებულს აქვს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული თეორიის ფართო ცოდნა. აცნობიერებს მართვასთან დაკავშირებულ ყველა ძირითად ფუნქციონალურ სფეროში არსებულ ძირითად თეორიებსა და პრინციპებს. კრიტიკულად იაზრებს ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხებს.
2	კურსდამთავრებულს შეუძლია წარმატებით მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციაში მინდინარე მენეჯერულ პროცესებში, კვლევით აქტივობაში, ორგანიზაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში, ეფექტიანად გამოიყენოს შესწავლილი თეორიები ორგანიზაციის წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადასაჭრელად.
3	კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული ფუნქციონალური სფეროების სიტუაციური ანალიზი და ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯმენტთან ერთად, შეგროვებული მონაცემებიდან გამომდინარე, შესაბამისი დოკუმენტის მომზადება.
4	კურსდამთავრებულს, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული საკითხების გარშემო

	პრობლემების გადაჭრის გზებისა და ახალი იდეების შესახებ დეტალური წერილობითი/ზეპირი ანგარიშის მომზადება და წარდგენა ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერების წინაშე, ფართო აუდიტორიის წინაშე. ახალი ბიზნეს კავშირების დამყარების მიზნით, კურსდამთავრებულს შეუძლია საქმიანი წინადადებების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი შეთავაზების გაკეთება პოტენციური პარტნიორებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე.
5	კურსდამთავრებული აცნობიერებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების სფეროს ცვალებად ხასიათს და მის მიერ მიღებული ცოდნისა და შექმნილი უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროებას. შესაბამისად მას აქვს უნარი ეფექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა და შეარჩიოს შემდგომი სასწავლო პროცესი.
6	კურსდამთავრებული მის საქმიანობაში იცავს ბიზნეს ეთიკის ნორმებს, იცის პროფესიული ეთიკის ნორმები, იცნობს მულტიკულტურული საზოგადოების მახასიათებლებს და აცნობიერებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. პატივს სცემს გასხვავებული ღირებულებების მქონე ადამიანებს და გარემოს, რომელშიც მოუწევს მუშაობა. ასევე მისი საქმიანობით, ხელს უწყობს დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას საზოგადოებაში.
კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები	
<input checked="" type="checkbox"/>	ინსტრუმენტული კომპეტენციები (იდენტიფიცირდება ზოგად და დარგობრივ ცოდნასთან; კოგნიტურ უნარებთან (მაგ., ინფორმაციის/იდეების გაზარების, ოპერირების, გაცნობიერების, გამოყენების უნარი, ანალიტიკური უნარები, პრობლემის გადაჭრის უნარი); მეთოდოლოგიურ უნარებთან (მაგ., დროის მართვის უნარი, სამუშაოს/საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, გადაწყვეტილების მიღების ან პრობლემის გადაჭრის უნარი); ტექნოლოგიურ უნარებთან (მაგ., ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების და შერჩევის უნარი), ლინგვისტურ უნარებთან (მაგ., წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, უცხოური ენის ფლობა)
<input checked="" type="checkbox"/>	ინტერპერსონალური კომპეტენციები (იდენტიფიცირდება სტუდენტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან და თვისებებთან (მაგ., წარმატებისკენ და თვითრეალიზებისკენ სწრაფვა, ლიდერობა, კრეატიულობა, სიტუაციის კრიტიკული გაზარების და შეფასების უნარი, დამოკიდებულებების და მოსაზრებების გამოხატვის უნარი, თვითკრიტიკის და თვითშეფასების უნარი, ინდივიდუალურად/დამოუკიდებლად მუშაობის უნარი); სოციალურ უნარებს (მაგ., პიროვნებათშორის ურთიერთობები, გუნდში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი, სოციალური და ეთიკური ღირებულებების გაზარების უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური ქცევის უნარი, სხვ., რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ინტერაქციის და კოოპერაციის საფუძველს)
<input checked="" type="checkbox"/>	სისტემური კომპეტენციები (ასახვენ ცოდნის, გაგნობიერების და დამოკიდებულებების ერთობლიობის გაგნობიერების, მთლიანის შემადგენელი ნაწილების დანახვის, ერთიან სისტემაში მათი ადგილის, ურთიერთკავშირის და ერთიანობის გაზარების უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის უნარი, ახალ/გაუთვალისწინებელ სიტუაციებთან ადაპტირების უნარი, პროექტების მართვის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინოვაციური საქმიანობის უნარი, კვლევის უნარი, ახალი იდეების გენერირების უნარი, ლიდერობის უნარები, და სხვ.)

დამატებითი სპეციალობის პროგრამა - საინფორმაციო ტექნოლოგიები / Information Technology	
მოცულობა: 60 კრედიტი (შენიშვნა: დამატებითი სპეციალობის პროგრამა დაძლეულად ითვლება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტის მიღების შემთხვევაში).	
მიზანი: მოამზადოს თანამედროვე შრომით ბაზარზე მაღალმოთხოვნი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრები საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინტეგრირების გზით. შესაბამისად, პროგრამის მიზანია სტუდენტმა, ძირითად პროგრამასთან ერთად, გაიაროს დამატებითი პროგრამა, რომელიც მას შესძენს მინიმალურ კომპეტენციებს საინფორმაციო ტექნოლოგიებში, რაც მნიშვნელოვნად გაზარდის მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.	
სწავლის შედეგები (ცოდნა და გაგნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა): 1) ფლობს საერთაშორისოდ აღიარებული საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში არსებულ ტერმინოლოგიას; აქვს კომპიუტერული სისტემების არქიტექტურის საბაზო ცოდნა, საკომუნიკაციო ქსელების დაგეგმვისა და შექმნის საკითხებში საბაზო ცოდნა; აქვს ქსელური აპარატურის თეორიული და პრაქტიკული მუშაობის პრინციპების ცოდნა; იცის ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების ენები, ოპერაციული სისტემა ლინუქსი და ერკვევა მონაცემთა ბაზის საფუძველებში; 2) შეუძლია ლინუქსის ოპერაციული სისტემის გამართვა და მუშაობა, ასევე მათი საშუალებით სხვადასხვა სახის საბაზო სისტემური და ქსელური ოპერაციების ჩატარება; შეუძლია ქსელური კავშირგაბმულობის სისტემების შექმნაში მონაწილეობის მიღება; დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამოცანის შესაბამისი ალგორითმის კომპიუტერული რეალიზაცია პროგრამირების საშუალებით; შეუძლია მარტივი მონაცემთა ბაზის შექმნა; შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი მონაცემების განმარტება; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია სფეროში არსებული პრობლემების, იდეების, ამოცანის გადაჭრის გზების შესახებ ზეპირი კომუნიკაცია სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე; 3) შეუძლია დაადგინოს შემდგომი სწავლის საჭიროებები პროგრამირების მიმართულებით, ვებ დაპროგრამების მიმართულებით, VisualStudio, AndroidStudio პლატფორმებზე პროგრამირებით, ქსელების, კავშირგაბმულობის, CCNA და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით, კომპიუტერის არქიტექტურის და სისტემური პროგრამების მიმართულებით, სერვერული ოპერაციული სისტემების, მათი ადმინისტრირების მიმართულებით; მოქმედებს პროფესიულ პასუხისმგებლობის და ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით.	
განმახორციელებლები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი.	

სწავლება-სწავლის მეთოდები	
სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს: დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი	

ზი, ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დემონსტრირება და სხვ., მათი კომბინირება მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, შემცენებითი/ კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვ. უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და მაქსიმალურ განვითარებაზე - სტუდენტები ეჩვევიან მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურირებას, ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის მოძიებას, ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დავას, მსჯელობას და სხვ. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში) უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსვერსული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

შეფასების ზოგადი წესი

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით: შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მიწიქება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს. წილადის სახით მიღებული შეფასების ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 - 0	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

Fx შეფასება ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით დასკვნით შეფასებაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებითი დასკვნითი შეფასება და-ნიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას (ქულას) არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულები. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებული შეფასების (ქულის) გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F=0 ქულა. შეფასება F ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) მაგისტრატურის პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

დასაქმების შესაძლო სფერო

- კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:
- კერძო სექტორში - კომპანიის სამუშაო რგოლის მენეჯერის პოზიციაზე;

- სახელმწიფო სექტორში - შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში - შესაბამისი ფუნქციონალური სფეროს საშუალო რგოლის მენეჯერად.

პროგრამის მატერიალური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსით: ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. ბტუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის (წიგნადი (ბეჭდვური და ელ.მატარებლებზე) ფონდს და მასში არსებული სამეცნიერო ელ.ბაზებს, კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსებს, ბტუ-ს კომპიუტერულ ბაზას და სხვ. პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ბტუ-ს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელ პირებს და სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ლიტერატურასთან, იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა.

პროგრამის ფინანსური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად - ბტუ-ს სტრატეგიიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ბტუ-ს ბიუჯეტით.

პროგრამის ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბტუ-ს აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომლებმაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვ.

პროგრამის გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	ECTS	სულ სთ.	სემესტრები							
					I 30	II 30	III 30	IV 30	V 30	VI 30	VII 30	VIII 30
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
<p>მოცულობა: 240 ECTS (1 ECTS = 25 სთ). სტრუქტურა : 1) ძირითადი სპეციალობა, თავისუფალი კომპონენტი ან 2) ძირითადი სპეციალობა, თავისუფალი კომპონენტი და დამატებითი სპეციალობა. ძირითადი სპეციალობა: 142 ECTS. დამატებითი სპეციალობის პროგრამა: 60 ECTS.</p>												
თავისუფალი კომპონენტი (სავალდებულო ნაწილი)			38		18	8	6	6	-	-	-	-
1.	BGE-01	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	წინაპირობის გარეშე	3	75	3						
2.	BGE-02	დემოკრატიული მმართველობის პრინციპები (I)	წინაპირობის გარეშე	4	100	4						
3.	BGE-04	მათემატიკა (I)	წინაპირობის გარეშე	5	125	5						
4.	BGE-06	შესავალი მეწარმეობაში	წინაპირობის გარეშე	6	150	6						
5.	BGE-07	აკადემიური წერა	წინაპირობის გარეშე	3	75		3					
6.	BGE-05	მათემატიკა (II)	მათემატიკა (I)	5	125		5					
7.	BGE-08	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (I)	წინაპირობის გარეშე ან: A1-1/A1-2/A2-1/A2-2/B1-1	6	150			6				
8.	BGE-08	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (II)	ინგლისური ენა (I) ან: A1-2/A2-1/A2-2/B1-1/B1-2	6	150				6			
ძირითადი სპეციალობის კომპონენტი			142		12	22	18	18	18	18	18	18
I სემესტრი				<i>სავალდებულო</i>	12							
1.	BBA-01	მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	150	6						
2.	BBA-02	ეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე	6	150	6						
				<i>არჩევითი</i>	-							
II სემესტრი				<i>სავალდებულო</i>	22							
3.	BBA-03	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	5	125		5					
4.	BBA-04	ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	5	125		5					
5.	BBA-05	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი	შესავალი მეწარმეობაში	6	150		6					
6.	BBA-06	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები / Basics of Financial Accounting (ქართ./ინგლ. ენაზე სტუდენტის არჩევ.)	წინაპირობის გარეშე/English B2 level	6	150		6					
				<i>არჩევითი</i>	-		-					
III სემესტრი				<i>სავალდებულო</i>	12							
7.	BGE-09	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	მათემატიკა (II)	6	150			6				
8.	BBA-07	მენეჯერული აღრიცხვა / Management Accounting (ქართ./ინგლ. ენაზე სტუდენტის არჩევანით)	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები / Basics of Financial Accounting; English B2 level	6	150			6				
				<i>არჩევითი</i>	6			6				
IV სემესტრი				<i>სავალდებულო</i>	12							
9.	BBA-08	ფინანსური მენეჯმენტი/Financial Management (ქართულ/ინგლ. ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მენეჯმენტის საფუძვ.; მენეჯერული აღრიცხვა/ Basics of Management; Management Accounting; English B2 level	6	150				6			
10.	BBA-09	ადამიანური რესურსების მართვა	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150				6			
				<i>არჩევითი</i>	6			6				

V სემესტრი				სავალდებულო				12							
11.	BBA-10	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150					6					
12.	BBA-11	სამეწარმეო სამართალი	შესავალი მეწარმეობაში	6	150					6					
				არჩევითი				6							
VI სემესტრი				სავალდებულო				12							
13.	BBA-12	ინვესტიციები	ეკონომიკის პრინციპები	6	150					6					
14.	BBA-13	პროექტების მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150					6					
				არჩევითი				6							
VII სემესტრი				სავალდებულო				10							
15.	BBA-14	ბიზნეს პრაქტიკა	ინოვაციების მენეჯმენტი და სტარტაპი; მარკეტინგის საფუძვ.; ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვ.; ფინანსური მენეჯმენტი	4	100							4			
16.	BBA-15	კვლევის მეთოდები	ალბათ. თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	6	150							6			
				არჩევითი				8							
VIII სემესტრი				სავალდებულო				-							
17.	-	-	-	-	-										
				არჩევითი				18							
სტუდენტის არჩევანით				60				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1. დამატებითი სპეციალობის პროგრამა „საინფორმაციო ტექნოლოგიები“				60				-	-	6	6	12	12	12	12
სავალდებულო სასწავლო კურსები:				41											
1.	BIT-01	პროგრამირების საწყისები (Python)	წინაპირობის გარეშე	6	150										
2.	BIT-02	კომპიუტერული ქსელების საწყისები	წინაპირობის გარეშე	6	150										
3.	BIT-05	პროგრამირება (Python)	პროგრამირების საწყისები (Python)	6	150										
4.	BIT-08	ოპერაციული სისტემა LINUX	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	6	150					6	6	12	4	3	6
5.	BIT-06	პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა	წინაპირობის გარეშე	4	100										
6.	BIT-03	მობილური აპლიკაციები	წინაპირობის გარეშე	4	100										
7.	BIT-04	მონაცემთა ბაზების საწყისები	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	3	75										
8.	BIT-11	ვებ პროგრამირება	პროგრამირება (Python)	6	150										
არჩევითი სასწავლო კურსები:				19											
9.	BIT-20	სერვერული ოპერაციული სისტემები	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	4	100										
10.	BIT-21	გეოსაინფორმაციო სისტემები	ციფრ. ტექნოლოგ. პრინციპ.; ინგლ. ენა (B1 დონე)	4	100										
11.	BIT-16	3D კომპიუტერული გრაფიკა	მობილური აპლიკაციები	3	75										
12.	BIT-17	ინფორმაციული უსაფრთხოება	კომპ. ქსელების საწყ.; ციფრ. ტექნოლ. პრინციპები	3	75										
13.	BIT-18	პერსონალური კომპიუტერის სისტემური პროგრამები	ციფრული ტექნოლოგიების პრინციპები	6	150										
14.	BIT-12	მონაცემთა ბაზები	მონაცემთა ბაზების საწყისები	6	150								4	9	6
15.	BIT-26	BlockChain ტექნოლოგიები (IBM blockain)	პროგრამირება (Python)	6	150										
16.	BIT-15	IT სერვისების მართვა	კომპ. ქსელების საწყისები; ინგლ. ენა (B1 დონე)	6	150										
17.	BIT-24	Visual Studio გარემოში პროგრამირება	პროგრამირება (Python)	6	150										
18.	შესაბამისი ძირითადი სპეციალობის პროგრამიდან არჩეული სპეციალობის სასწავლო კურს(ებ)ი		შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის წინაპირობები	19	475										

2. არჩევითი ბლოკი - საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი / International Business Management (გაცვლითი პროგრამა) (განხორციელების ადგილი - „ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტი“, პორტუგალია / Polytechnic Institute of Braganca, Portugal, Web page: www.btu.edu.ge , განხორციელების ენა - ინგლისური, დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში გათვალისწინებულ ყველა სასწავლო კურსში კრედიტის მიღება. 1 ECTS= 27 სთ). სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით*.				60															60			
1.	BBAF-01	International Business Management / საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	Economic Principles / ეკონომიკის პრინციპები	6	162														30	30		
2.	BBAF-02	International Commercial and Fiscal Law / საერთაშორისო სამეწარმეო და საგადასახადო სამართალი	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6	162																	
3.	BBAF-03	International Operations and Logistics/საერთაშორისო ოპერაციები და ლოგისტიკა	Probability Theory and Mathematical Statistics / ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	6	162																	
4.	BBAF-04	Option 2-Commercial Policies and Economic Integration / International Contracts / ვარიანტი 2 - კომერციული პოლიტიკა და ეკონომიკური ინტეგრაცია / საერთაშორისო კონტრაქტები	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	3	81																	
5.	BBAF-05	Option 3-E-Business Management / E-Marketing Practices / ვარიანტი 3 - ელექტრონული ბიზნეს მენეჯმენტი / ელექტრონული მარკეტინგის პრაქტიკა	Basics of Management /Basics of Marketing / მენეჯმენტის საფუძვლები/მარკეტინგის საფუძვლები	3	81																	
6.	BBAF-06	Option 5-International Labour Market Economics and Law / Quality Management of International Business / ვარიანტი 5 - საერთაშორისო შრომის ბაზრის ეკონომიკა და სამართალი / საერთაშორისო ბიზნესის ხარისხის მართვა	Economic Principles / ეკონომიკის პრინციპები	3	81																	
7.	BBAF-07	Option 6-Auditing / Doing Business Abroad / International Finance / International Monetary Economics / ვარიანტი 6-აუდიტი / ბიზნესის მართვა საზღვარგარეთ / საერთაშორისო ფინანსები / საერთაშორისო მონეტარული ეკონომიკა	Basics of Management; Basics of Marketing; Financial Management / მენეჯმენტის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები; ფინანსური მენეჯმენტი	3	81																	
8.	BBAF-08	Internship and Thesis / სტაჟირება და ნაშრომი	International Business Management / საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი	27	729																	
9.	BBAF-09	Research Methodology / კვლევის მეთოდოლოგია	წინაპირობის გარეშე / No prerequisite	3	81																	
3. არჩევითი ბლოკი - ბიზნეს-მენეჯმენტი / Business Management (გაცვლითი პროგრამა) (განხორციელების ადგილი „სტეფორდშირის უნივერსიტეტი“, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო / Staffordshire University, UK, Web page: http://www.staffs.ac.uk/ განხორციელების ენა - ინგლისური, დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე (მაგ., IELTS (UKVI) – 6.0 ან მეტი (არანაკლებ 5.5) ან UKVI-თვის მისაღები ექვივალენტის დაკმაყოფილება), წინა სემესტრებში გათვალისწინებული 180 ECTS მიღება. დიდი ბრიტანეთის 0,5 CATS (Credit Accumulation and Transfer Scheme/System) = 1 ECTS, შესაბამისად 180 ECTS უდრის 360 CATS). სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით*.				60															60			
1.	BBAF-10	Applied Business Research (I) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6	162														30			
2.	BBAF-11	Strategic Management for Organization (I) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6	162																	
3.	BBAF-12	Global Business Trend (I) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (I)	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	6	162																	

4.	BBAF-13	European Integration and Expansion / ევროპული ინტეგრაცია და გაფართოება	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	12	324								
5.	BBAF-14	Applied Business Research (II) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (II)	Applied Business Research (I) / გამოყენებითი ბიზნესის კვლევა (I)	6	162								
6.	BBAF-15	Strategic Management for Organization (II) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (II)	Strategic Management for Organization (I) / ორგანიზაციის სტრატეგიული მენეჯმენტი (I)	6	162								
7.	BBAF-16	Global Business Trend (II) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (II)	Global Business Trend (I) / გლობალური ბიზნესის ტრენდი (I)	6	162								
8.	BBAF-17	The Rule of Emerging Economies in International Business / მზარდი ეკონომიკის წესი საერთაშორისო ბიზნესში	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	12	324								
4. არჩევითი ბლოკი - გაცვლითი პროგრამა (განხორციელების ადგილი „ვილინუსის უნივერსიტეტი“, ლიტვის რესპუბლიკა / Vilnius University (Vilnius, Lithuania), Web page: www.vu.lt , განხორციელების ენა - ინგლისური. დამკვეთის წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე / (IELTS 5.5+, iBT TOEFL 65+), 1 ECTS= 27 სთ. პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი 5 ECTS აღიარდება როგორც 6 ECTS. ვუ-ს მიერ შეთავაზებულიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს არაუმეტეს 30 ECTS). სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით*.				30					30		30		
1.	BBAF-18	Business Operation Management/ბიზნესის ოპერაციების მართვა	Economic Principles; Basics of Management / ეკონომიკის პრინციპები; მენეჯმენტის საფუძვლები	5/6	135								
2.	BBAF-19	Human Resource Management/ადამიანური რესურსების მართვა	Basics of Management / მენეჯმენტის საფუძვლები	5/6	135								
3.	BBAF-20	Essentials of Marketing Research/მარკეტინგის კვლევის საფუძვლები	Probability Theory and Mathematical Statistics; Basics of Marketing / ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა; მარკეტინგის საფუძვლები	5/6	135								
4.	BBAF-21	Information and Communication Technologies/საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	No prerequisite / წინაპირობის გარეშე	10/6	270								
5.	BBAF-22	Business Risk Management/ბიზნეს რისკების მართვა	Basics of Management / მენეჯმენტის საფუძვლები	5/6	135					30		30	
6.	BBAF-23	Business Statistics/ბიზნეს სტატისტიკა	Economic Principles; Mathematics / ეკონომიკის პრინციპები; მათემატიკა (II)	5/6	135								
7.	BBAF-24	Global Business/გლობალური ბიზნესი	Economic Principles / ეკონომიკის პრინციპები	5/6	135								
8.	BBAF-25	Marketing Management/მარკეტინგის მენეჯმენტი	Basics of Management; Basics of Marketing / მენეჯმენტის საფუძვლები; მარკეტინგის საფუძვლები	5/6	135								
9.	BBAF-26	Basics of Accounting and Auditing/საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის საფუძვლები	Economic Principles, Mathematics / ეკონომიკის პრინციპები; მათემატიკა (II)	15/12	405								
10.	BBAF-27	Retail Management and Marketing/საცალო მენეჯმენტი და მარკეტინგი	Economic Principles; Basics of Marketing / ეკონომიკის პრინციპები; მარკეტინგის საფუძვლები	5/6	135								
5. არჩებითი სასწავლო კურსები, ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“				60					6	6	12	12	12
1. ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (არჩევის შესაძლებლობა „+“ მითითებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით)													
1.	BBA-16	საზოგადოებასთან ურთიერთობა	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+
2.	BBA-17	ციფრული მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+
3.	BBA-18	მომხმარებლის ქცევა	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+
4.	BBA-19	მარკეტინგული კვლევის პრინციპები	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+
5.	BBA-20	ლიდერობა	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150					+	+	+	+

6.	BBA-21	სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150					+	+	+	+	+	+
7.	BBA-22	მომსახურების მენეჯმენტი / Service Management (ქართული/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მენეჯმენტის საფუძვლები / Basics of Management, English B2 level	6	150					+	+	+	+	+	+
8.	BBA-23	ცვლილებების მენეჯმენტი / Change Management (ქართული/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მენეჯმენტის საფუძვლები / Basics of Management, English B2 level	6	150					+	+	+	+	+	+
9.	BBA-24	საცალო ვაჭრობა და მერჩენდაიზინგი / Retail and Merchandising (ქართ.ინგლ. ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მარკეტინგის საფუძვლები /Basics of Marketing, English B2 level	6	150					+	+	+	+	+	+
10.	BBA-25	ბიზნეს კომუნიკაციები / Business Communications (ქართული/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მარკეტინგის საფუძვლები/Basics of Marketing, English B2 level	6	150					+	+	+	+	+	+
11.	BBA-26	ბრენდინგი	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+	+	+
12.	BBA-27	რეკლამა და პრომოცია	მარკეტინგის საფუძვლები	6	150					+	+	+	+	+	+
13.	BBA-28	ბიზნეს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი	ინგლისური ენის ფლობის არანაკლებ B1 დონე	6	150					+	+	+	+	+	+
14.	BBA-29	ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	წინაპირობის გარეშე	4	100					+	+	+	+	+	+
15.	BBA-30	გაყიდვების მენეჯმენტი / Sales Management (ქართული/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მარკეტინგის საფუძვლები / Basics of Marketing, English B2 level	4	100					+	+	+	+	+	+
16.	BBA-31	საერთაშორისო მარკეტინგი / International Marketing (ქართული/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	მარკეტინგის საფუძვლები / Basics of Marketing, English B2 level	4	100					+	+	+	+	+	+
17.	BBA-32	ბიზნეს ბაზრების მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები	4	100					+	+	+	+	+	+
18.	BBA-33	დაზღვევა	ფინანსური მენეჯმენტი	6	150							+	+	+	+
19.	BGE-13	საბაკალავრო პროექტი	კვლევის მეთოდები	6	150										+

2. არჩევითი სასწავლო კურსები - გაცვლითი პროგრამის ფარგლებში
 (განხორციელების ადგილი - „ბრაგანსა პოლიტექნიკურ ინსტიტუტი“, პორტუგალია / Polytechnic Institute of Braganca, Portugal, Web page: www.btu.edu.ge, განხორციელების ენა - ინგლისური, დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინაპირობებში მითითებულ სასწავლო კურსებში კრედიტის მიღება. 1 ECTS= 27 სთ.) სტუდენტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

გაზაფხულის / შემოდგომის სემესტრი

3. არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (არჩევის შესაძლებლობა „+“ მითითებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით)

1.	BGE-03	დემოკრატიული მმართველობის პრინციპები (II)	წინაპირობის გარეშე	4	100					+	+	+	+	+	+
2.	BIT-03	მობილური აპლიკაციები	წინაპირობის გარეშე	4	100					+	+	+	+	+	+
3.	BGE-10	საინფორმაციო ტექნოლოგიების შესავალი	წინაპირობის გარეშე	4	100					+	+	+	+	+	+
4.	BGE-11	სამუშაოს მოძიება	წინაპირობის გარეშე	4	100					+	+	+	+	+	+

4. თავისუფალი კრედიტები (მოიაზრება: ა) ბტუ-ს სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსები; ბ) განათლების იმავე საფეხურის სხვა უსდ-ს პროგრამით შესწავლილი (ბტუ-ს მიერ აღიარებული) სასწავლო კურსები, გ) ბტუ-ს გაცვლითი პროგრამით პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები).

+

შენიშვნა: 1) ბტუ-ში ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება დადგინდეს ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით ან შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით/ტესტირებით. ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით მოიაზრება: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგანდ ინგლისური ენის ჩაბარება (უდასტურდებათ B1 დონე), ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/ წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული სერტიფიკატები/მოწმობები/სხვ., საერთაშორისო სერთიფიკატები (ტოიფელი (TOEFL PBT), ტოიფელი (TOEFL IBT), ბრიტანეთის სამჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის სამჭოს და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam), კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ. სტუდენტები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ ენას B1 და უფრო მაღალ დონე, არ არიან ვალდებული შეისწავლონ სასწავლო კურსები "ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი (I, II)", მითითებულ შემთხვევებში ისინი შესაბამის სემესტრ(ებ)ში სასწავლო გეგმით შეთავაზებულიდან და/ან სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან (ე.წ. „თავისუფალი კრედიტ“) ირჩევენ მათთვის სასურველ სასწავლო კურს(ებ)ს თითოეულ სემესტრში შესაბამისი კრედიტის მოცულობით. 2) სტუდენტი, რომელიც ირჩევს გაცვლითი პროგრამის ბლოკს/კომპონენტებს, ბტუ-ში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წინააღმდეგარე პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის შესწავლა, წელიწადში max 75 ECTS პირობით.

დამატებითი ინფორმაცია სტუდენტებისთვის

სტუდენტების კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობა - ბტუ-ს სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის (დასაქმების მაჩვენებლის ზრდის) მიზნით, BTU Classroom-ის პროგრამაში ჩაშენებულია ფუნქცია „სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო“. აღნიშნული გულისხმობს, რომ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ასახოს მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მათ შორის, კურიკულუმის გარე) ელექტრონულად და გაუზიაროს წვდომა პოტენციურ დამსაქმებელს. ამ საქმიანობაში ჩართულობა ნებაყოფლობითია - არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტებს, არ ფასდება და მასში არ ხდება კრედიტის მიანიჭება. ეს აქტივობა წარმოადგენს პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას მათთვის, ვისაც გამოცდილება არ აქვს ან აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისგან განსხვავებულ სფეროში. ასევე, პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ საქართველოში არსებული უმსხვილესი კომპანიების ახალ ბიზნეს ქეისებზე, მოახდინონ კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ. ყოველივე კი შესაძლებლობას აძლევს ბტუ-ს შესმინოს სტუდენტს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარები. სტუდენტებს, რომელთაც სურთ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა და თეორიული ცოდნის მეტად განმტკიცება, ბტუ შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ ორგანიზაციებთან, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განახორციელონ ვიზიტები და მის ჩაერთონ ორგანიზაციის სამუშაო პროცესში (ვიზიტის ხანგრძლივობა იქნება 1 თვემდე). ამ პერიოდის განმავლობაში, სტუდენტს ექნება წვდომა ორგანიზაციის ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. სტუდენტს ეყოლება პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, რომელიც გააცნობს მას ბიზნეს-მენეჯერის წინაშე არსებული ტიპურ სამუშაო პროცესს. ამის შემდგომ, სტუდენტს, რომელიც გამოთქვავს პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს, ევალება 3-დან 5 გვერდამდე რეფლექციის დაწერა, რომელიც შემდგომ აისახება მის ელექტრონულ პორტფოლიოში. ელექტრონული პორტფოლიო იმართება ბტუ-ს კარიერული განვითარების ცენტრის მიერ და შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს ნათლად დაინახოს კანდიდატის პოტენციალი, ცოდნა და უნარ-ჩვევები.

დამატებითი სპეციალობის პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი) / Business Administration (Management)

მოცულობა: 60 კრედიტი (შენიშვნა: დამატებითი სპეციალობის პროგრამა დაძლეულად ითვლება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტის მიღების შემთხვევაში).

მიზანი: მოამზადოს თანამედროვე შრომით ბაზარზე მაღალმომთხოვნი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრები საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინტეგრირების გზით. შესაბამისად, პროგრამის მიზანია სტუდენტმა, ძირითად პროგრამასთან ერთად, გაიაროს დამატებითი პროგრამა, რომელიც მას შესძენს მინიმალურ კომპეტენციებს ბიზნესის ადმინისტრირებაში (მენეჯმენტში), რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

სწავლის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა): 1) იცის ბიზნესის რაობის და სამართლებრივი უზრუნველყოფის მთავარი საკითხები; მენეჯმენტთან დაკავშირებული მიდგომები და ტექნოლოგიები; მართვის ძირითადი ინსტრუმენტები; იცის მარკეტინგის საფუძვლები, პრინციპები და მეთოდები; ფინანსური მენეჯმენტის კონცეპტუალური საფუძვლები, საბაზო მაჩვენებლები; ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგია; ბიზნეს სტატისტიკის საფუძვლები; ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული ოპერაციებისა და სისტემების მართვის მოდელები; იცნობს საპროექტო გარემოს, პროექტის შემუშავების წესებს და საპროექტო გადაწყვეტილებებს. იცის ფინანსური კატეგორიები, სისტემები და ნაკადები; ფინანსური ურთიერთობების განვითარების სპეციფიკა და ძირითადი კანონზომიერებები; ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი, ამოცანები, საგანი და მეთოდი; 2) შეუძლია ბიზნესის ცალკეული პრობლემების გამოკვეთა და მათი გადაჭრის გზების დასახვა კომპეტენციის ფარგლებში; ინოვაციაზე ორიენტირებული მართვის სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება; ორგანიზაციის ფინანსური მენეჯმენტის მიმართულელების დასახვაში, მარკეტინგის სამსახურის დაგეგმვა და საჭირო მიმართულებების ჩამოყალიბებაში, ოპერაციების მართვა სხვადასხვა მეთოდები გამოყენებით; ანალიზებს, განიხილავს და აფასებს სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით მოწოდებულ თუ მოძიებულ ინფორმაციას, აკეთებს დასკვნებს და ახდენს არგუმენტირებას. შეუძლია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული მეთოდის გამოყენებით ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის, სამოქმედო გეგმის, ფინანსური გეგმისათვის, მარკეტინგული გეგმისა და ოპერაციული გეგმისთვის საჭირო სხვადასხვა მასალების, ინფორმაციის შეგროვება და დაჯგუფება; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, შეუძლია ორგანიზაციულ მართვასთან დაკავშირებული მენეჯერული საკითხების გარშემო არსებული პრობლემების, იდეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ჯგუფთან ერთად მისი წარდგენა ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერებისა და ფართო აუდიტორიის წინაშე; 3) აცნობიერებს მიღებული ცოდნის და შეძენილი უნარების გაუმჯობესების და სრულყოფის საჭიროებას. სწავლების კოორდინატორსა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერთან კონსულტაციების შედეგად, აქვს უნარი შეაფასოს და შეარჩიოს შემდგომი სასწავლო პროცესი სხვადასხვა რესურსის გათვალისწინება-გამოყენებით; მოქმედებს პროფესიულ პასუხისმგებლობითა და ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით.

განმახორციელებლები: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)“ შესაბამისი სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი.

სავალდებულო სასწავლო კურსები		36 ECTS
1.	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები	6
2.	მენეჯერული აღრიცხვა	6
3.	ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები	5
4.	მარკეტინგის საფუძვლები	5
5.	ფინანსური მენეჯმენტი	6
6.	ორგანიზაციული ქცევა	6
7.	სამეწარმეო სამართალი	6
8.	ადამიანური რესურსების მართვა	6
აჩევითი სასწავლო კურსები		14 ECTS
1.	პროექტების მენეჯმენტი	6
2.	ლიდერობა	6
3.	ციფრული მარკეტინგი	6
4.	კვლევის მეთოდები	6
5.	ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები	4
6.	გაყიდვების მენეჯმენტი / Sales Management (ქართულ/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	4
7.	საერთაშორისო მარკეტინგი / International Marketing (ქართულ/ინგლისურ ენაზე სტუდენტის არჩევანით)	4
8.	ბიზნეს ბაზრების მარკეტინგი	4
შესაბამისი ძირითადი სპეციალობის პროგრამიდან არჩეული სპეციალობის სასწავლო კურს(ებ)ი		+